№ 101

შაბათი, 16 მაისი, 1898 წ.

1877—1898

№ 101

შაბათი, 16 მაისი, 1898 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კვირას, 17 მაისს,

**ნატალია იოსების ასულის ფორაქოვის**

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ავლაბრის წმ. მარინეს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი, რასაც განსვენებულის ქალი, ვაჟები და და აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ. (2—86—1)

# საქველ-მოქმედო ბაზარი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულია 23, 24 და 25 მაისს

თავად-აზნაურობის (არწრუნისეულს) ქარვასლის ბაღში.

ვაჭრობა დაიწყება დილის 10 ს საათზე და გათავდება საღამოს 8 საათზე.

ვაჭრობის დროს დაუკრავს მუსიკა.

ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირს 20 კ. (უ.)

## ქართული თეატრი

კვირას, 17 მაისს, 1898 წ.

ქართულის დასის არტისტებისაგან, **ბ. ნ გედევანოვის** მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება, **პირველად ახალი პიესა.**

I

**არკადიას სადილი,**

სცენები ჩვენის ვაჭრების ცხოვრებიდან, 3 სურათად.

II

**ჯერ დაისოცნენ, მერე დაქორწილდნენ**

ვოდ. 2 მოქ., თ. რაფ. ერისთავისა.

ოსეფას როლს შეასრულებს ბ-ნი გედევანოვი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი რჩეულოვისა, გალუსტოვისა; ბ-ნნი გედევანოვი, ადამიძე, საფაროვი, კარბელი, გვარამაძე, თამაზიშვილი ც სხ.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რადგანაც წლიური საზოგადო კრება **„ქართველ ქალთა ამხანაგობის“ წევრთა** 9 მაისს არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, ამიტომ კრება დანიშნულ იქმნა 16 მაისს, საღამოს 7 საათზედ, ამხანაგობის სახელოსნო სკოლის სადგომში, ბარიატინსკის ქუჩაზედ, ფედოროვის სახლში, № 10.

განსახილველი საგნები:

1) წლიური ანგარიში ამხანაგობის მოქმედებისა 1897 წელს.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა.

3) მოხსენება გამგეობისა სახელოსნო სკოლის გაუმჯობესების შესახებ.

4) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1898 წლისა.

5) მოხსენება ალებ-მიცემობის შესახებ.

6) გამგეობის ოთხის წევრის არჩევა. (4—უ.—3)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

**ვკისრულობ**

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26. (50—80—14).

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა: სამსახურს გარეშე მყოფი იუნკერი მილიციისა თავ. გიორგი სიდამონის ძე ე რ ი ს თ ა ვ ი—თელავის სამაზრო პოლიციის სამმართველოს შტატს გარეშე მყოფ მოხელის თანამდებობის აღმასრულებლად; მედავითნეს შვილი გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე—ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად, ლანჩხუთის საფოსტო განყოფილების ფოსტალიონი იერეთეოზ თ ა ვ ა ძ ე—ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

დათხოვნილ იქმნა ავადმყოფობისა გამო თხოვნისამებრ, ტფილისის სახელმწიფო პალატის ბუჰალტერი, ნადვორნი სოვეტნიკი ალექსანდრე ჩ ი ვ ა ძ ე და ამავე პალატის სტოლის უფროსი, კოლლეჟსკი ასესსორი დავით ჩ ი ვ ა ძ ე.

---

**† ა. ს. როინაშვილი**

იყო და აღარ არის. იყო შვინვიერ და უშვინვო შეიქმნა. იყო ცხოველ და დაცხრა, გაგრილდა. ხოლო გარდაიცვალა და არა მოკვდა. დაიძინა და ცხოვნდა და არა მიიძინა და წარწყმდა. განვლო ცხოვრებამან, რომელი ემსგავსა ხესა დანერგულსა თანაწარსადინელსა წყალთასა და გამოსცა ნაყოფი ჟამსა თვისსა და ყოველივე, რაცა ჰყო, წარემართა...

დაიბადა განი ქოხში, არწივის ბუდეში! (მთიულეთში არწივის ბუდის მსგავსი შენობებიც ქოხებად ითვლებიან!). ჩჩვილი იყო და ვაებით აღორძინდებოდა. ყრმა იყო და მეწისქვილეობდა. ჭაბუკი შეიქმნა და წიგნი ისწავლა. წიგნმა გამოიყვანა იგი დედა-ქალაქის ტფილისის შარა გზაზედ. მოვიდა ქალაქს და... იგემა ტანჯვა, წვალება, მუშაობა, მსახურობა; დაითმინა წყურვილი, შიმშილი, სიგლახაკე, სიტიტვლე; გროში გროშს მიაკეცა, უზალთუნი უზალთუნს მიათვალა და ვაითა და დაგვით შეიმოსა ტანი სამოსლით და გაილესა ჭკუა წიგნით. უკვე ვაჟკაცი იყო და მიებარა ერთ კეთილ მესურათხატეს ხ—ს, გაფრანგული ჭკუა და გამჭრიახე გონება ღვთისა-მიერ მონიჭებულ ტალანტად ჰქონდა. ტალანტი იგი არ დამარხა, ვითარცა უკმარმან მონამან, ხუთი ქანქარი მიიღო და ხუთს ხუთიც სხვა შესძინა. რქვა მას ბატონმან მისმან: „კეთილ მონაო, სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა“. და მესურათხატემან აღასრულა სიტყვა თვისი. წარგზავნა იგი სურათ-ხატების გარდასაღებად კახეთს, ნუხს, ბაქოს, დაღისტანს, კავკავს, ოსეთს, იმერეთს, სამცხეს, ქართლს და სხ. მესურათხატემ მადლობა უთხრა მას და მან შეისყიდა მისგან მისი სასურათხატო.

განახლდა სასურათხატო და კარის ბჭეზედ წარეწერა: „ა. როინაშვილი“. მოაწყდა კაცი და ქალი და ყოველი, რომელსაც ჰსურდა ეხილვა მხატვრობა თვისის სახისა,

# ფელეტონი

**წვრილმანი.**

II

მეორე მხარესაც მოვუსმინოთ [1]).

ერთის მხრივ ურჯულო, ფანატიკოსი, თავით ფეხამდე შეიარაღებული, უბინაო და უსაქმო ყაჩაღი... მეორეს მხრივ შრომის მოყვარე, თავისის ოფლით მიწის მრწყველი, უიარაღო და უემაკი ქრისტიანე ხალხი, რომლის დანაშაული მარტო ის არის, რომ ქრისტიანეა და ოსმალთა ხელში ჩავარდნილა. აქედგან უბედურის ხალხის ცარცვა-გლეჯა, მთელის სოფლების აოხრება, ტანჯვა-წამება, ხოცვა და ქალების გაუპატიურება. ასე უხატავდნენ „სიმართლის მიმდევარი“ პუბლიცისტები ევროპისა და ერთობ მთელის განათლებულის კაცობრიობის წინაშე სომეხთა და ოსმალთა ურთიერთ შორის განწყობილებას და, რა არის საკვირველი, რომ სომხებისკენ ყოფილიყოს საზოგადო თანაგრძნობა! ქრისტიანენი არიან და ამიტომ არიან ასე უდიერად წამებულნიო!... მგონი დროა, მეორე მხარესაც მოვუსმინოთ.

აჰმედ რიზა, რომლის სიტყვები ქვემოდ მოგვყავს, იმდენად წარჩინებული კაცი იყო თავისს სამშობლოში, რომ საერო განათლების გამგეობა ებარა. მაგრამ „ახალგაზდა ოსმალეთის“, ესე იგი მთავრობის მოწინაამდეგე დასის მოთავეობისა გამო დევნილ იქმნა სამშობლოდგან და საფრანგეთს შეეკედლა. აჰმედ რიზა ევროპიულად განათლებული კაცია და საფრანგეთში იგი ჰბეჭდავს ფრანგულს ენაზედ გაზეთს „მეშვერე“, რომელიც „ახლგაზდა ოსმალეთის“ მიმართულების გამომეტყველ ორგანოდ ითვლება.

მაშ მეორე მხარესაც მოვუსმინოთ:

სწორედ გემრიელ ქადასავით დააქუცმაცა ბერლინის კონგრესმა დამარცხებული ოსმალეთი, ამბობს აჰმედ რიზა: ერთი, საუკეთესო, ნაჭერი რუსეთს შესთავაზა, ბოსნია და ჰერცეგოვინა—ავსტრიას, თესალია—საბერძნეთს... დანა ოსმალეთის იმ ნაწილს მიადგა, რომელსაც სომხეთს უწოდებენ. ბერლინის ტრაქტატის მე-61 მუხლის ძალით სულთანი ვალდებულ იქმნა „როგორც-კი მოსახერხებლად დაინახავდა, მოეხდინა საჭირო ცვლილებანი იმ მაზრებში, სადაც სომხები სცხოვრობენ“...

ოსმალეთის მთავრობისაგან იმავ თავითვე დიდი უპირატესობა ჰქონდათ მინიჭებული სომხებს. მთავრობა თავისს დღეში არ შეჰხებია სომხების ენასა და სარწმუნოებას. მთავრობა სრულს თავისუფლებას აძლევდა სომხებს, როგორც უნდოდათ, ისე განეგოთ თავიანთი საზოგადოებრივი და სარწმუნოებრივი საქმენი და მეტადრე სკოლები. ხარჯს სომხები მცირეს იხდიდნენ და განთავისუფლებულნი იყვნენ სამხედრო ბეგარისაგან. სრული თავისუფლება ჰქონდათ და აქვთ მინიჭებული, როგორც უნდათ, ისე მოაწყონ ხალხის წარმომადგენელთა ამორჩევები საერო და საეკკლესიო საქმეების გასაძღოლად. ამ თავისუფლებით აიხსნება ის გარემოება, რომ სომხებში ასე განვითარებულია ეროვნული გრძნობა. ამ თავისუფლებითვე აიხსნება ის გარემოებაც, რომ სომხები საუკუნეთა განმავლობაში სრულიად მადლიერნი და კმაყოფილნი იყვნენ ოსმალებისა.

ოსმალეთის საზოგადოების უმდიდრესს ნაწილს სომხები შეადგენენ, ამბობს მურად-ბეი [2]), და საუკეთესო განწყობილება ჰსუფევს სომეხთა და ოსმალთა შორის. ოსმალი რომ იტყოდა „ერთგული ერიო“, ყველამ იცოდა, რომ სომხების შესახებ ლაპარაკობდა.

1821 წ. საბერძნეთის აჯანყებამ უფრო მჭიდროდ შეაკავშირა და დაართგულა სომხები და ოსმალნი. მაგრამ სწორედ ამ დროს ჩამოერივნენ სომხებს ევროპიელი ბერები და ქრისტიანულის სარწმუნოების წილ არეულობა და შური დასთესეს. სომხების პატრიარხი ეფრემი ძალიან კარგად ხედავდა მათ მავნე საქციელს და სულთანს სთხოვა კათოლიკე ბერების განდევნა, მაგრამ მთავრობა სუსტი იყო, ბერებს საფრანგეთი ჰყავდა მფარველად და ეფრემის თხოვნა აუსრულებელი დარჩა. რაკი ამით ვერას გახდა, ეფრემმა ბრძანება გასცა—კათოლიკე ბერებისაგან დაარსებულ სკოლებში ბავშვები არავინ ატაროსო.

ლეროა ბოლიო პირდაპირ ამბობს, საფრანგეთის დიპლომატიის წყალობით მოხდა, რომ სულთანმა თავისუფლება მიანიჭა კათოლიკე-სომხებს და სრულიად დამოუკიდებელ ჰქმნა იგინი სომეხ-გრიგორიანთაგანაო. [3])

ამგვარად სომეხი ხალხი ორ მოქიშპე და ერთმანეთის მოძულე ნაწილად გაიყო. ცოტა ხანს უკან პროტესტანტმა ბერებმა დაიწყეს მათ შორის ქადაგება და ახლა მათ შემოიტანეს არეულობა და განხეთქილება. ლეროა ბოლიოს სიტყვით ინგლისელ და ამერიკელ ბერების წყალობით ოსმალეთში 60 ათასი,—მეტი სომეხი-პროტესტანტი იქნებაო.

ნურავინ იტყვის, სომხებმა თავი-

---

[1]) Ahmed Riza—de Le malde l'orient.

[2]) Mourad Bey-le Palais de yildiz.

[3]) A. Leroy-Beaulieu—les Arméniens et la qaestion Arménienne.

მხატვრობა კოხტად, ლამაზად და ღირსეულის ხელოვნებით გადაღებული. გაძრიელდა მუშაობა, აღორძინებული მთიულ გლეხის მიერ მთიულ გლეხის შვილებისავე თანაშეწევნილობითა და დახმარებით, დღითი-დღე და წლითი წლად განდიდდა საქმე განდიდებულ კაცისავეთურთ. სასურათხატომ გადიღო სახეები საქართველოს წარჩინებულ მეფეებისა, მწერლებისა, მღვდელ-მთავრებისა, სურათები შესანიშნავ ადგილებისა, ტაძრებისა, ციხეებისა, მხატვრობანი ხატთა, სამკაულთა, ქანდაკებათა, ფულთა; გადიღო ყოველივე ეს და თვისს სასურათხატოს შესთვისა ნაციონალური იერი და ფერი. ამასთანავე მან შეიძინა მრავალი ძველი, გარნა ძვირფასი, ნივთი: ფულები, ჭურჭელი, იარაღი, საკრავ-საყვირები, სამხედრო კაზმულობა, სამოსი, ქვის და ლორფინის ნაკეთობა, ლურსმებრივ ნაწერიანი ქვის ფიცრები და სხ.

და ყოველივე ეს სასურათხატოითურთ წაიღო და მოიმგზავრა რუსეთის მრავალი ქალაქები და რომ დაბრუნდა, ყოველი შეძენილი თვისი ერთიანად უანდერძა „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“. ფასი მის-მიერ ნაანდერძევ ქონებისა მრავალ არს დღეს და უმეტესად მრავალ მომავალთა ჟამთათვის...

გულის სიდამბლით განისვენა ცხრა მაისს, ცხრა ჟამს მწუხრისას...

ზოგი, თუნდაც დიდგვარიანი, კვდება და მისს პანაშვიდზედ მოწვევითაც არ მოდიან ბევრნი. გლეხი რონინაშვილი გარდაიცვალა და დაუპატიჟებლად მოვიდნენ მგლოვარენი და მეინახენი: ეპისკოპოსნი, არქიმანდრიტნი, მღვდელნი, დიაკონნი, ერნი და ბერნი. ეს უამრავი დასი, ძაძით შემოსილი, პატივს სცემს მხოლოდ პირადს ნიჭსა და ღვაწლს განსვენებულისას და არა მისს ჩამომავლობასა და გვარიშვილობას, და აი, აქ მართლდება უკვდავი სიტყვა უკვდავ რუსთაველისა: „ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა; თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა“.

საქმემან შენმან გაცხოვნა შენ, განსვენებულო ალექსანდრე, გლეხო გვარიშვილობით და აზნაურო საქვეყნო ღვაწლითა და მოჭირნახულობით.

მ. ჯანაშვილი

# ახალი ამბავი

*** კვირას, 17 მაისს, აკურთხებენ ბეთანიის ეკკლესიას. ეკკლესიას აკურთხებს ქვათახევის წინამძღვარი არქიმანდრიტი კირიონი, მღვდლის ანტონ თოთიბაძისა და მთავარის მირონ ომანიძის დახმარებით. გზა ამ ეკკლესიისაკენ მიდის მწყნეთისა და აგრეთვე კოჯორის მხრიდგანაც.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულმა კავკასიაში ბ-ნმა ი. ს. მედვედიევმა დასტამბა „კრებული ცნობათა კავკასიის ძვირფას მცენარეულობის მოვლა-მოშენების შესახებ.“

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სწერენ ზაქათალიდგან: „ხმა დადის, რომ კახის ნაწილის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს შტ.-კაპ. გველესიანს ზაქათალის ოლქის უფროსის უმცროსს თანაშემწედ ჰნიშნავენ და ჯარა-მუხარის ნაწილის უფროსად, მირიმანოვის გარდაცვალებისა გამო, ეჩმიაძინის მაზრის პირველ ნაწილის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს პორუჩიკს მანსვეტოვსაო.

*** მცხეთა. კვირას, 10 მაისს, გამართულ იქმნა ჩვეულებრივი სახალხო კითხვა და აქაურ დედათა მონასტრის მღვდელმა ლაბაძემ ისაუბრა ხალხთან იმის შესახებ, თუ რა მავნე შედეგი აქვს ყველასათვის ცრუ-მორწმუნეობას. ამას გარდა ხალხს აჩვენებდნენ ცოცხალ სურათებს და უხსნიდნენ ყოველ სურათის მნიშვნელობას. დარბაზში მასწავლებელ ქალის კ. ი. ოქროპირიძის ლოტბარობით ჰგალობდა დედათა მონასტრის სასწავლებლის მოსწავლეთა გუნდი. კითხვას აუარებელი ხალხი დაესწრო და ყველანი ნასიამოვნები დაბრუნდნენ სახლში.

*** ახალ-სენაკი. აქაურ საზოგადო შემნახველ-გამსესხებელი ბანკის კასსა, რომელიც ნორმალურ სკოლაში იყო მოთავსებული, გადატანილ იქმნა სენაკის მაზრის ხაზინაში, რადგანაც 3 მაისის საზოგადო წევრთა კრებამ სა უმჯობესო და საიმედო ადგილად ხაზინა დაასახელა. აგრეთვე ბანკის გამგე და მმართველი სპ. ენუ—ძე საზოგადოებამ დაითხოვა. კასსის გადატანა ხაზინაში სასიამოვნოა, რადგანაც ეს ადგილი საიმედო და ხელ-მისაწვდენია ყველასათვის.

*** სოხუმი. ადგილობრივის საპატიმროს საავადმყოფოს გამგე მკურნალის მეცადინეობით მეტად იქმნა შემცირებული სახადით ავადმყოფთა რიცხვი პატიმართა შორის, მაგრამ სუსტმა თვალ-ყურის გდებამ ხელ-ახლად გაავრცელა ეს ავადმყოფობა საპატიმროში. 1—7 მაისამდის 9 პატიმარი გახდა ავად შავის სახადით. გახდა სახადითვე ავად საპატიმროს მეთვალ-ყურე და ის ბერი, რომელიც თვეში 15 მან. უვლიდა ავადმყოფთ. (ახ. მიმ.)

*** გამოვიდა და დაურიგდა ხელის-მომწერთ ჟურნალ მოამბის მე-IV ნომერი შემდეგის შინაარსით: „გაზაფხული“.—ლექსი ვაჟა-ფშაველასი; „ინჟინერი ან დოხტური“.—კომედია 4 მოქმედებად აზიანისა (ნ. მ. დონდაროვისა) (დასასრული); „ამირანის შვილნი“.—ისტორიული რომანი აფხაზეთის ცხოვრებიდან (გაგრძელება); „ცისკარა“.—პოემა ანტონ ფურცელაძისა (დასასრული); „გლეხი-კაცის ისტორია“.—ნაწილი მესამე.—ერკმან შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა; „ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები“.—LI, LII—ალ. ს—შვილისა; „გურია-აჭარა“.—მგზავრის წერილები, თ. სახოკიასი; „ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან.—I თ-დი ალ. ჭავჭავაძე“.—კიტა აბაშიძისა; „ორმოცდა ათი წლის წლისთავი ბესარიონ გრიგოლის ძე ბელინსკის გარდაცვალების შემდეგ“.—ხომლელისა; „ლაშარის ჯვარი და თამარ-დედოფალი—ივ. ბუქურაულისა; განცხადებანი.

*** სოხუმი. ღამის დარაჯთ: პატარაიამ, კორტუამ და გეგენეიშვილმა საჩივარი მიართვეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, რომ შექეიფიანებულმა ბოქაულმა ზავოროტნიმ ღამე კარგა ლაზათიანად მიგვბეგვა ყველანიო. გუბერნატორის განკარგულებისამებრ ადგილობრივი პოლიცმეისტერი ამ ჟამად ცნობებსა ჰკრებს ამ საქმის შესახებ.

## ალექსანდრე სოლომონის ძის რონინაშვილის დასაფლავება

გუშინ, 15 მაისს, მიაბარეს მიწას გვამი პატივცემულის ქართველის ალექსანდრე სოლომონის ძის რონინაშვილისა. განსვენებულმა რაც ღვაწლი დასდო და რითიც განამშვენიერა თავისი ცხოვრება ამ ქვეყნად, ეგ ყველამ უწყის. დილის ცხრა საათიდგან დიდ-ძალმა ქართველმა საზოგადოებამ მოიყარა თავი ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლთან, სადაც ესვენა გვამი განსვენებულისა. უმრავლესობა ქართველი ინტელიგენცია იყო, ქალნი და კაცნი, წარმომადგენელნი თავად აზნაურობისა, მწერლობისა და მრავალნი სხვანი. აქედგან სწორედ ათს საათზედ მიცვალებულის გვამი გაასვენეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც მიცვალებულის წირვა გარდაიხადა ქართულად ეპისკოპოსმა ლეონიდემ არხიმანდრიტის კირიონისა და ქალაქის სხვა სამღვდელოების თანამწირველობით. წირვის დროს ჰგალობდა ორი ხორო ქართულად — ხორო ნ. ბერიშვილისა და ი. მონადირიშვილისა. აქვე შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიის წინამძღვარმა, მღვდელმა მ. ტყემალაძემ:

„ნეტარ იყვნენ მოწყალენი,
რამეთუ იგინი შეიწყალნენ.

„მგონი, ბევრს თქვენგანს მიუცია თავის თავისათვის კითხვა: კაცის შემამკობელ ღირსებათა შორის რომელს უკავია პირველი ადგილი. როგორც გამოცდილება, ცხოვრება, ისე საღმრთო წერილი გვიმტკიცებს, რომ ყველა სათნოებათა შორის უპირატესობა უნდა მიეცეს მოწყალებას, კეთილ მოწყალეობას, გულ-მტკივნეულობას. თვით საღმრთო წერილში აღნიშნული მაცხოვრის სიტყვები: „მოვედ კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისა რამეთუ მშიოდა და მეცით მე ჭამადი, მწყუროდა და მასვით მე, შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე; ცოდვილთა ეტყვის: წარვედით ჩემგან წყეულნო ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკთათვის და ანგელოსთა მისთათვის, რამეთუ მშიოდა და არა მეცით მე ჭამადი, მწყუროდა და არა მასვით მე, შიშველ ვიყავ და არა შემმოსეთ მე. როგორც სჩანს ამ სიტყვებიდგან, ყველა სათნოებათა შორის პირველი ადგილი მოწყალებას უჭირავს. იმ დროს, როდესაც კაცს უკანასკნელად ეძლევა დაჯილდოვება ან დასჯა საუკუნოდ, ამ დროს მაცხოვარი აქცევს ყურადღებას, აფასებს მხოლოდ მოწყალებას.

„განსვენებულ ალექსანდრეს, თუმცა განათლება არ მიუღია, მაგრამ ბუნებით იმდენად იყო დაჯილდოვებული, რომ კარგად იცოდა: რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია. ვის არ გაუგონია, ვინ არ იცის ჩვენთაგანმა, თუ რამოდენა ახალგაზდა ობოლს მისცა შემწეობა, საზრდო; რამდენ ნათესავისთვის გაჭირვების დროს გაუმართნია მას ხელი. უნდა ვსთქვათ, რომ მოწყალებას მაშინ აქვს ფასი, როდესაც იგი მხიარულად, დაუზარებლად ეძლევა კაცს. კაცად კაცადსა, ვითარცა გამოურჩევიეს გულითა, ნუ მწუხარებით, ნუცა უნებლებით, რამეთუ მხიარულებით მისაცემელი უყვარს უფალს: (ბ. კორ. 9 7) ამბობს პავლე მოციქული. განსვენებული დაუზარებელი იყო, მზად იყო ყველასათვის შეძლებისადა გვარად შემწეობა აღმოეჩინა. იგივე მოციქული გვირჩევს: თუ გინდათ დაუზარლად შეეწიოთ ხოლმე ყველა გაჭირვებულს, ყოველ კვირაობით თავის ნაშრომიდგან ერთი ნაწილი ამ აზრით გადასდევით ხოლმეო და ყოველთვის მზათ იქნებითო. „ყოველი მოწყალეობა, შემწეობა უნდა იყოს წინასწარ განმზადებულ ვითარცა ევლოგია და არა ვითარცა ანგარება. მაშინ თქვენ შეგიძლიათ მოიღოთ წყალობა მხიარულებით. განსვენებულმაც იცოდა გაჭირვებისათვის ცოტაოდენი წვლილი თავის ნაშრომიდგან გადაედვა ხოლმე და კიდევაც ბლომად დასტოვა სიკვდილის დროს,

---

ანთ რჯულზედ უფრო განვითარებული და ჰუმანიური სხვა ნახეს და სარწმუნოება იმიტომ შეიცვალესო. რჯულის შეცვლა სარწმუნოებრივ საფუძველზედ კი არა, მარტოდ-მარტო პოლიტიკურ საფუძველზედ მოხდა და ვინც ევროპიელ მქადაგებელთ მიჰყვა, იმიტომ მიჰყვა, რომ ევროპიელნი მფარველნი შეეძინა. ამის დასამტკიცებლად ისიცა კმარა, რომ ევროპიელნი ოსმალეთში რეფორმებს მარტო სომხებისთვის თხოულობენ, თითქო იქ, სომხების გარდა, სხვა არავინ სცხოვრობდეს და ან ულირსნი იყვნენ რეფორმებისა. ან როგორ ეკადრებათ განათლებულ ევროპის უწარჩინებულეს წარმომადგენელთ, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომთა საზოგადო კეთილ-დღეობისა-კი არა, მარტო რჩეულთა ბედნიერებისათვის ზრუნავენ. არც ეკადრებათ და არც შესაძლებელია ამ ზრუნვის განხორციელება: სომხები მთელს ოსმალეთში არიან გაფანტულნი და სწორედ იმ მაზრებში, რომლებსაც სომხეთს უწოდებენ, ქურთები ერთი-ორად მეტნი არიან, ვიდრე სომხები.

მას შემდეგ, რაც ქურთებს ასეთი უდიერება დასწამეს, ძალიან საძნელო და საშიში გახდა იმათი კეთილად ხსენება: ვინ იცის, რას არ დასწამებენ იმათს მოსარჩლეს? მაგრამ გამოსარჩლება სხვაა და სიმართლე—სხვა. ქურთებისთანა რაინდულად პატიოსანი ხალხი ძნელად თუ სხვა იქნება სადმე. საუბედუროდ, ქურთებმა ჯერ არც-კი იციან, რომ ევროპაში ფულით თავიანთ მოსარჩლე ბერებსაც გაიჩენენ, კონსულებსაც და ჟურნალ-გაზეთებსაც. მაგრამ ერთხელც იქნება გაიმარჯვებს სიმართლე და ბევრს ინანებს ევროპა, როდესაც დარწმუნდება, რომ საზარელს ცილსა სწამებდა ამ გულუბრყვილო ხალხსა.

ცნება სომხეთი ცარიელი სიტყვაა არისო, ამბობს ლერუა ბოლიო და ამ აზრს ჰანოტოც ემოწმება; სტატისტიკური ცნობები ამტკიცებენო, ბრძანა ჰანოტომ,—რომ ოსმალეთის იმ მაზრებში, რომლებსაც სომხეთს უწოდებენ, ასზედ მარტო 13 სულია სომეხი. სომხეთად წოდებულ მაზრებში იმისთანა ადგილი არსად არის, რომ ეს უბედური ხალხი უმრავლესობას შეადგენდეს; ასეთი ადგილი რომ მოიპოვებოდეს, შუაგულ ადგილად იქნება ცნობილი და რაიმე უპირატესობა მიენიჭება.

კამბონი, საფრანგეთის წარმომადგენელი სტამბოლში, სწერს თავისს მოხსენებაში, რომელიც „ყვითელ წიგნშია“ დაბეჭდილი: [4]) რითი შეიძლება ამოდენის არეულობის მოსპობა? თავისუფალის, დამოუკიდებელის სომხეთის დაარსებით? ეს ოცნებითაც-კი ძნელად წარმოსადგენია, რადგან სომხებით დასახლებული და სხვა ხალხებით შემოსაზღვრული ადგილი არსად მოიპოვება. ბულგარიაო, რომ იტყვიან, ან საბერძნეთიო, ყველამ იცის, რომ ბაასი ბულგარებით ან ბერძნებით დასახლებულ და სხვა ხალხებით შემოსაზღვრულ მხარეზედ არის. სომხები-კი ისე არიან დაქსაქსულნი ოსმალეთის ყოველ კუთხეში, რომ ესრეთ წოდებულ სომხეთშიც-კი უმრავლესობას მაჰმადიანები შეადგენენ. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ძველის სომხეთის ერთი ნაწილი რუსეთს ეკუთვნის, მეორე—ოსმალეთს, მესამე—სპარსეთს, და კიდეც რომ წარმოიდგინოთ შეუძლებელი, სახელდობრ რაიმე ომების გამო პოლიტიკურ გარემოებათა იმ გვარად მოწყობა, რომ ევროპამ დამოუკიდებელ სომხეთის დაარსება მოიწადინოს, სრულიად შეუძლებელი შეიქმნება ამ ახალის სახელმწიფოს შემოფარგვლა. ასევე შეუძლებელია რომელსამე მაზრის დასახელება სომხეთად და რაიმე ავტონომიის მინიჭება, რადგან ვინ იტყვის: სად იწყება და სად თავდება სომხეთი?

სომხეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღდგენა შეუძლებლად მიმაჩნია, ამბობს ლერუა-ბოლიო, როგორც შეუძლებლად მიმაჩნია სომხებისთვის ავტონომია. ეს ჩემი რწმენაა და გულ-წრფელად აღვიარებ თქვენის წინაშე, რომ სომხეთის ავტონომიურ სახელმწიფოს აღდგენა შეუძლებელი საქმეა.

ერთის სიტყვით, დამოუკიდებელი, თავისუფალი სომხეთი ცარიელი ოცნებაა და სხვა არაფერი. ამისდა მიუხედავად, სწორედ ამ ოცნებით გაიტაცეს და გააგიჟეს სომხები. მერე ვის რად უნდოდა, რომ აგიჟებდნენო, იკითხავთ? შეიძლება ინგლისი იმისს ცდაში იყოს, რომ რუსეთსა და ოსმალეთის აზიურ ნაწილს შუა დამოუკიდებელი სახელმწიფო დააარსის თავისის პოლიტიკის განძრახვათა განსახორციელებლად და იქიდგან უფრო ადვილად და თავისუფლად შეუდგეს პროტესტანტურ მოძღვრების ქადაგებას; ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ინგლისს რომ პოლიტიკური განძრახვა არა ჰქონოდა, არც იმოდენა ფულს ჩაჰყრიდნენ იქ მათი ბერები და არც მარტოდ მარტო სომხების გაპროტესტანტებას ეცდებოდნენ. შემცდარი იქნება, ვინც იფიქრებს, სარწმუნოების გასავრცელებლად არიან ოსმალეთში ინგლისელი ბერები და დაბადების გავრცელების მეტი არაფერი გამოუვათ ხელიდგანაო; სარწმუნოებასთან ერთად ისინი ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგობას ასწავლიან სომხებს და იმავე დროს ძველებურად თავისუფალის, დამოუკიდებელის სომხეთის აღდგენას ჰპირდებიან; იმათი ეკკლესიები და სკოლები ყოველთვის მთავრობის მეთვალ-

[4]) livre jaune, Go fevrier 1894, № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასტოვა საზოგადო, საქვეყნო საქმისათვის. განუსვენოს უფალმან იმისს სულსა"!!.

შემდეგ მიცვალებულის გვამი გაასვენეს დიდუბეში ხელით და აქ დაჰკრძალეს. თითქმის ყველა მისნი პატივისმცემელნი გაჰყვნენ განსვენებულის გვამს სასაფლაომდე. აქ, ვიდრე კუბოს სამარეში ჩაუშვებდნენ, სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა ი. რატიშვილმა შემდეგი მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა:

„მშვიდობით, ძმაო ალექსანდრე! მშვიდობით, პატიოსანო, მშვიდო, გულ-კეთილო მამულიშვილო! შენ წარხვედ ამიერიდგან, მაგრამ შენი კეთილი ნაღვაწევი, შენი სამაგალითო ნაანდერძევი ჩვენ დაგვშთა, და შენი სახელი ყოველთვის იქნება ჩვენში კეთილად ხსენებული, ხსენებული იქმნება ქებითა და მადლობით. დღეს სირცხვილეული დარჩა შენგან მრავალი, ვინც შენზედ მდიდარი ყოფილა, შენზედ უხვად ჰქონია მინიჭებული გონებითი ძალა, სწავლა-ცოდნა, ნივთიერი ქონება, მაგრამ შენზედ ნაკლები გამოუღია ქვეყნისათვის. შენ შედარებით ცოტა მიიღე ბუნებისაგან, ცოტა მიიღე საზოგადოებისაგან, მაგრამ სამაგიეროდ, მრავალი მოეც შენს ერს. დღეს იგი ერი მგლოვიარებს და აცილებს შენს უსულო გვამს სამარედ ლოცვითა და კურთხევით. შენ არ გიკაფავდა ცხოვრების გზას არც ბრწყინვალე დიდ გვაროვნება, არც მაღალ-ხმოვანი მოწმობა დიდის სწავლა-განათლებისა, არც ის თვალთმაქცობა, რომლის წყალობითაც ბევრი მოხდენილი და ცქვიტი, ახალგაზრდა ვაჟბატონი მარდად ახტება ხოლმე საზოგადოებრივს უმაღლესს საფეხურზედ და იქიდგან გადმოგვცქერის თავ-მოწონებით. არა, შენ იყავ დამყარებული მარტოდ-მარტო შენს საკუთარს ალალ-მართალ ძალ-ღონეზედ; ამ ძალ-ღონის კვალობაზედ ჰშრომობდი მხნედ, ჰშრომობდი გულ-მხურვალედ და მიაღწიე იმას, რომ გვერდში ამოუდექ ჩვენს უკეთესს მამულიშვილებს, მოძმედ გაუხდი უწარჩინებულესს ქართველებს.

შენი სადგური შესაკრებელი იყო ხოლმე ჩვენის საზოგადოების უკეთეს წარმომადგენლებისა და იმართებოდა საუბარი ჩვენის ქვეყნის ზრუნვისათვის, მისის ჭირ-ბოროტის საწინაღმდეგოდ გამკლავებისათვის; იგივე შენი სადგური სავანე იყო, სასწავლებელი იყო, სადაც იწვრთებოდა მთელი დასი ახალგაზდობისა. შენ თითონ იყავ მათი მწვრთელი, შენა ჰზრუნავდი გულითა მხურვალითა, რომ მოგემზადებინა იგინი ღირსეულად ცხოვრების სასახელო სარბიელისათვის და დაგეყენებინა ისინი პატიოსანის გამრჯელობის გზაზედ. ეხლა იგი ახალგაზრდობა მწარედ დასტირის შენს კუბოს და არღა იცის, როგორ განაგრძოს შენგან დაწყებული, მაგრამ არ-დათავებელი დიდად ღირსეული საქმე.

„შენი გული სიყვარულით იყო ალსავსე და საგანი ამ სიყვარულისა იყო შენი მშობელი ქვეყანა. გიყვარდა მისი წარსული, სიყვარულითა ჰშრომობდი მისის აწმყოსა და მომავლისათვის. ჩვენის წარსულის ნაშთების მოხილვით და ფოტოგრაფიულად გადაღებით საპატიო ღვაწლი დასდე ჩვენის წარსულის შესწავლას. ჩვენის წინაპრების ნაღვაწევ, ნაჭირნახულევ ნივთების მოპოვება, მათი ერთგულად მოვლა-დაცვა შეადგენდა შენს მხურვალე გულის წადილს. არც ცუდად ჩაუვლია ამ შენს წადილსა და მეცადინეობას: დღეს „წერა-კითხვის საზოგადოებას" დარჩა შენგან დაარსებული მუზეუმი ძველის ნივთებისა და იგი „საზოგადოება" ერთგულად მოუვლის ამ შენს კეთილს სახსოვარს. შენი ანდერძი მეტად შესანიშნავია, სამაგალითო მთელის საქართველოსათვის: „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" ერთად-ერთი ქართული საზოგადოებაა, რომელსაც შესცქერის ამიერი და იმიერი საქართველო, საგანი ამ საზოგადოებისა არის წერა-კითხვის მოფენა ქართველს ერში, მაგრამ ამ „საზოგადოებისათვის" ჰშრომობს მეტად მცირე რაზმი. შენ სიცოცხლეშიაც იყავი ერთგული და გულ-მხურვალე წევრი „საზოგადოებისა" და ეხლაც შენის ანდერძით მშვენივრად დააგვირგვინე შენი სამსახური ამ „საზოგადოების" წინაშე. ამას ვერ დაივიწყებს იგი „საზოგადოება" და ყოველთვის იქნება მახსენებელი შენის სახელისა ღრმა პატივისცემით, წრფელის მადლობითა და ქებით.

„მშვიდობით, ჩვენო დაუვიწყარო მოძმევ! განისვენე, კეთილო მოღვაწევ! კურთხეულ იყოს შენი სახელი საუკუნოდ!.."

## წერილი ფოთიდგან

10 მაისი

პირველ მაისს ჩვეულებრივ მრავალი ხალხი ეწვია ფოთს, იმერეთ-გურია-სამეგრელოდგან. მოსულთა შორის კაცი შეხვდებოდა აქ მდაბიო ხალხის გარდა ინტელიგენტობასაც. დილის რვა საათიდგან ხალხი მიეშურებოდა ესრედ წოდებულ „პარკში", სადაც უნდა ჯარიანობა მომხდარიყო. ნაშუადღევის 3—4 საათზედ ვებერთელა მინდორი „პარკისა" სულ ერთიანად ქალ-კაცით გაივსო. ყველა იმისს ლოდინში იყო, ნეტავ როდის გააგდებენ ბურთსაო. ნაშუადღევის ხუთი საათი რომ შესრულდა, გამოიტანეს დანიშნულ ადგილზედ დიდი ბურთი. შეიკრიბნენ ერთად მეგრელ-გურული, რომლებიც ეჯიბრებიან ერთმანეთს ბურთის გადატანას ლელოზედ. გააგდეს მაღლა თუ არა ბურთი, გურულ-მეგრელნი დაეტაკნენ ერთმანეთს და თითოეული მათგანი ლელოსაკენ იწევდა. გურულ-მეგრელის გარდა ბურთს თამაშობდნენ: რუსებიც, თათრებიც, ბერძნებიც და იმერელნიც, რომლებიც გურულებს ემხრობოდნენ. ნახევარის საათის თამაშობის შემდეგ გურულები და მათნი მომხრენი სამისა თუ ოთხის საჟენის მანძილზედ მიუახლოვდნენ დანიშნულს ადგილს. დაინახეს თუ არა მეგრელებმა ეს, გალომკაცდნენ და გახელებულნი ეცნენ ხალხს, რომლის შუაში ბურთი იყო. უთვალავს ხალხს მიაწვნენ დიდის ყიჟინითა და არიქა „ბოშევი თქვა ლურელეფის!" ძახილით, გაიგდეს ბურთი კაციანად წინ და რამდენისამე წუთს შემდეგ გურულები ბურთიანად ლელოზედ მიიტანეს და გადააგდეს „ლელო". ამის შემდეგ გამარჯვებულმა მეგრელებმა მოგლიჯეს დიდი ხე ფესვიან ძირიანად, რომელზედაც შეეჯდინათ თავ. გ. ჩი—ა, და საამო სიმღერით შემოიარეს გარშემო. მერე, გაიმართა დუდუკზედ გამარჯვებულთა ცეკვა-თამაში, რომლის დასასრულს საზღვარი არა ჰქონდა. წესიერება სრულიად არ დარღვეულა. ამოდენს ხალხში ერთი უსიამოვნო სიტყვა კაცს არ გაუგონია. „პარკში" აღკრძალული იყო იმ დღეს იარაღით შესვლა. ვაჭრობა და აღებ-მიცემობა ძალიან ნაკლები იყო. ვაჭრობა უფრო მეტი ჰქონდათ სხვებზედ სასმელების პატრონთ... ერთის სიტყვით, წრევანდელმა პირველ მაისობამ ფოთში მშვიდობიანად ჩაიარა.

ტელეფონი

# რუსეთი

—

ამ ჟამად ფინანსთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობენ იმის შესახებ, რომ მთელის რუსეთის ფქვილის მწარმოებელთა კრება გამართულ იქმნას მაისის გასულს ქ. მოსკოვშიო.

— ამ ჟამად მკურნალს ნ. მ. ვასილიევს გამოუგონია ახალი საშუალება ჭლექისა და ფილტვების ავადმყოფობათა მოსარჩენად. ამგვარ ავადმყოფებს მკურნალი ვასილიევი სწამლობს ელექტრონით და სულ ადვილად არჩენს თურმე ახლად გაჩენილს ჭლექს.

# უცხოეთი

—

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** კიდევ არაფერი ისმის ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომის შესახებ. გაზეთებმა და დეპეშებმა მხოლოდ ის ამბავი მოიტანეს, რომ ესპანელები მოხერხებულად მოიქცნენ და თავიანთი ესკადრა ისე მიიყვანეს კუბის აღმოსავლეთ ნაპირზედ მდებარე ნავთ-სადგურ სანტ-იაგომდე, რომ ამერიკელებმა ვერაფერი გაიგეს. მაშინ როდესაც სამპსონის ფლოტი და შლეის მსწრაფლ-მოსიარულე ესკადრა ატლანტიის ზღვაში დაცურავდა, ყველა კუთხესა და ნავთ-სადგურს ათვალიერებდა, აქ ხომ არ არის ესპანიის ესკადრაო, ამ უკანასკნელმა შორს მოუარა და სანტ-იაგოში მშვიდობით მივიდაო. ესპანიის ესკადრას თან აუარებელი სურსათი მიაქვს თურმე, ასე რომ თუ ეს სურსათი კუნძულში მყოფ ჯარს გადასცა, მაშინ ამერიკელების ის იმედი, რომ კუბელებს შიმშილით ამოვწყვეტთო, აღარ გამართლდება. გაზეთების სიტყვით, ამერიკელებს ეხლა, როდესაც ესპანიის ესკადრამ კუბამდე მიაღწია, ერთი ორად უფრო გაუჭირდებათ ამ ესკადრის დამარცხება და კუბის დაპყრობა. საზოგადოდ ამერიკელების საქმე ამ ბოლოს დროს როგორღაც უკან-უკან მიდის. ამერიკელები ამ ამბავს იმ გარემოებას აწერენ, რომ ესპანელებმა იციან ჩვენი ესკადრების მოძრაობა და ჩვენ-კი მათის ესკადრების შესახებ არაფერი ვიცითო. ამიტომ შეერთებულის შტატების მთავრობამ ბრძანებაც-კი გასცა, რომ გაზეთებს აღარაფერი ამბავი აღარ მიაწოდონ ამერიკის ესკადრის მოძრაობის შესახებ. ამ რიგად მთავრობა ბრალს გაზეთებსა სდებს. ხალხი-კი მთავრობით არის უკმაყოფილო. რამდენადაც წინად, ომის დაწყებისას და პირველის გამარჯვების დროს, ხალხი აღტაცებული იყო მთავრობით, იმდენად ეხლა გაჯავრებულია მასზედ. ეხლა ამერიკაში, გაზეთების სიტყვით, ხშირად გაისმის: „მთავრობა მოუხერხებლად იქცევა, ესკადრებს აქეთ-იქით ჰგზავნის და ესპანელებს ხელს უწყობს, რომ კუბასთან გამაგრდნენო". თუმცა-კი, იმავე გაზეთების სიტყვით, მთავრობას არავითარი ბრალი არა აქვს, პირ-იქით ის მეტად მოხერხებულად და მარდად იქცევა. საქმე ის არის, რომ ამერიკელებმა პირველად საქმის ვითარება არ ასწონ-დასწონეს; იმათ ეგონათ, ორი ან სამი კვირის განმავლობაში ესპანიას დავამარცხებთ, კუბას დავიპყრობთ და ომს გავათავებთო. ეხლა რაკი დაინახეს, რომ ეს მოლოდინი არ გამართლდა, მთავრობასა სდებენ ბრალს, ის იქცევა ზანტად, თორემ აქამდე საქმე გათავდებოდაო.

**ინგლისი.** თუმცა კარგა ხანია რაც მკურნალებმა აუწყეს ქვეყანას, რომ ღლა-

---

ყურეობის გარეშე ჰმოქმედებდნენ და პოლიტიკურ ხალხის გამტაცებელ აზრებს უფრო ჰქადაგებდნენ, ვიდრე ქრისტიანულს კაცთ-მოყვარეობას.

იმდენი მაგალითი ყოფილა ჩვენს საუკუნეში ურცხვის თავხედობისა და უსინდისობის გამარჯვებისა, რომ არ შეიძლებოდა, სომხებიც არ გაეტაცნა ძველის სომხეთის კვლავ თავისუფალ და დიდებულ სახელმწიფოდ აღდგენის ოცნებას.

და შეუდგნენ კიდეც საქმეს. ამერიკელი ბერი მ. კირუს ჰამლენი სწერს: მთელს ოსმალეთში დაძრწიან ესრედ წოდებული ჰინჩაკის მომხრე რევოლიუციონერები და სულ იმის ცდაში არიან, რომ მოასწრონ სადმე ქურთს ან ოსმალელს, მოჰკლან, სახლ-კარი დაუწვან და თითონ მაშინვე მთაში დაიმალნენ; ამით აღშფოთებული ქურთები და ოსმალელნი დაერევიან სრულიად უდანაშაულო სომხებს და საშინლად, ბარბაროსულად ჰყრილობენ იმათზედ ჯავრს; ჰინჩაკის მომხრეთაც ეს უნდათ და მთელს ევროპას შესძრავენ: ვერა ჰხედავთ, რას გვიშვრებიან ურჯულონი?!. კაცობრიობისა და ქრისტიანულის მოძღვრების სახელით გევედრებით, გვიშველეთ რამე, გვაკმარეთ ამდენი წამებაო!.. იმდენს ვიძახებთო, იმედოვნებენ, ვიდრე რომელიმე სახელმწიფო მოგვეშველება, და სომხეთს ოსმალეთისგან გაანთავისუფლებს.. რათა მოსპოს ამდენი სისხლის ღვრა.

სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთები, მეტადრე პროტესტანტული პრესსა, ბუკსა და ნაღარასა სცემს: შეიბრალეთ მრავალ-წამებული და ურჯულოთა მსხვერპლი ერიო! აქამდის თუ ბულგარელების ხოცვა ჰქონდათ სალაპარაკოდ, ახლა სომხების შესახებ-ღა ჰლაპარაკობენ. შეიბრალეთ ქრისტიანენიო. გაიძახიან მთელს ევროპაში და ყოველ მხრიდგან ფული მისდით „წამებულთა" სასარგებლოდ.

მათდა საუბედუროდ, ამგვარის მოღვაწეობით თავიანთ საქმეს მარტო ვნება მიაყენეს. როგორც მეხანიკაში ყოველ მოქმედებას თან ახლავს უკუღმა-მოქმედებაც, ისევეა ხალხის ცხოვრებაში და მარტო იმათი ბრალია, რაც სომეხ ერს უსაშინელესი უბედურებანი დაატყდა ამ უკანასკნელ დროს. ნამდვილნი დამნაშავენი, სწორედ ისინი, ვინც მოახდინა ამდენი არეულობა და უბედურება, ყველანი გაიპარნენ და დასჯილნი ის სომხები იყვნენ, რომელნიც ჩვენ გვიყვარს და რომელნიც მშვიდად და პატიოსნად ჰმუშაობენ; სხვის დანაშაულის გამო დასჯილ იქმნა ის უმრავლესობა, რომელიც მართლა გაჭირვებულია და ყველასაგან შესაბრალისი. დამნაშავენი გაიპარნენ და საბრალო მუშა-ხალხმა თავისის სისხლითა და ქონებითა ზღო რევოლიუციური კომიტეტის ცოდვა.

ეჭვი არ არის, სწერს ვანში მყოფი ინგლისელი კონსული, რომ წარსულ წელს მომხდარი ფანატიკური ხოცვა სომხებისა გამოიწვიეს თავიანთის უგუნურ და საშინელის ქცევით თვით სომხებმა—რევოლიუციონერებმა, რომელთა დამრიგებელი და სულის ჩამდგმელი უცხოეთში მყოფი უმთავრესი კომიტეტი უნდა იყოს. ამ მოძრაობას საგნად ცვლილებათა გამოთხოვნა-კი არა, სომხეთის სახელმწიფოდ აღდგენა ჰქონია.

ვანდალიც ეთანხმება გაზეთ „Times"-ში გამოთქმულს აზრს, რომ უკანასკნელი უბედურებანი სომხებისა იმათის რევოლიუციურ კომიტეტის ბრალი იყო და ამ კომიტეტის წევრების სინიდისზედ იყოს, რაც მაშინ უბრალო სისხლი დაიქცა. აი იმისი სიტყვები: ნურავინ იტყვის, ოსმალებმა თავის თავად ჩაიდინეს იმოდენი საშინელება. ოსმალები სომხების კომიტეტებმა აიძულეს იარაღი ეხმარათ სომხების წინააღმდეგ; თუმცა ისიც უნდა დავძინოთ, რომ კომიტეტები ასე იმიტომ მოიქცნენ, რომ დაპირებულ ცვლილებათ ვეღარ ეღირსნენ [5]).

დაპირებულ ცვლილებათა შემოღებას რომ ვეღარ ვეღირსეთ, ჩვენც შევადგინეთ სულთანისა და ერთობ მტარვალთა წინააღმდეგი კომიტეტიო, დასძენს აჰმედ-რიზა, —მაგრამ სომხების კომიტეტისაგან იმით განვირჩევით, რომ ჩვენ ვითხოვთ საზოგადო, საყოველთაო ცვლილებათ, საზოგადო თანაბარ სამართალს და თანაბარ უფლებებს ყველასთვის; ჩვენ უარს ვყოფთ რაიმე ცვლილებას, რომლითაც ჩვენ უპირატესობა მოგვეცემა რამე ჩვენს მოძმე ბერძნებსა და სომხებზედ; ჩვენ რასაც ვითხოვთ, ოსმალეთის ყოველი ქვეშევრდომისთვის ვითხოვთ და ჩვენს დღეში არ გაგვიცალკევებია ჩვენი და სომხების ან ბერძნების ინტერესები. სულ სხვაფრივ მოიქცნენ სომხების კომიტეტები: იგინი მარტო საკუთარის, ეგოისტურ ოცნებით არიან გატაცებულნი; იმათი წადილი ის არის, რომ ოსმალეთში არსებულ და ძალად აღძრულ არეულობითა და სულთანის სისუსტით ისარგებლონ და ქრისტიანე ევროპის დახმარებით ჩვენ, ოსმალთა, წინააღმდეგ ისე მოაწყონ საქმე, რომ ჩვენი შთანთქმა შეიძლონ. ამ ოცნების განსახორციელებლად აქამდე მჭიდროდ შეერთებულ და მეგობრულ განწყობილებაში მყოფ ხალხებ შორის იმისთანა განხეთქილება ჩამოაგდეს, რომ მომავალში თვით სომხებივე წყევლა-კრულვით ახსენებენ კომიტეტების სახელს.

?

[5]) A. Vandal—les Armeniens et la Reforme.

დსტონი აღარ მორჩება, მაგრამ მაინც დიდებულის მოხუცის გარდაცვალებამ დიდათ დაალონა და დააფიქრა ინგლისი. იმის გარდაცვალებას ჰგლოვობს ლონდონთან ერთად მთელი ინგლისის ხალხი, წოდებისა, ხარისხისა და მიმართულების განურჩევლად. პარლამენტმა ჩვეულებრივი კრება შესწყვიტა. მთავრობამ სთხოვა დედოფალს, რომ გლადსტონის გვამი სახელმწიფო ხარჯით იქმნას დასაფლავებული; ამასთან უკვე გადასწყვიტა, რომ ვესტმინსტერის სააბატსტვოში ძეგლი დაუდგას. გლადსტონის გარდაცვალების გამო გადადებულ იქმნა დიდი ბალი, რომელიც დედოფლის სასახლეში უნდა გაემართათ. ამ ჟამად კერძო სახლებშიაც-კი აღარავინ ჰმართავს საღამოებს და დიდს სადილებს. გლადსტონის ოჯახმა აუარებელი სამძიმრის დეპეშები მიიღო დედამიწის ყველა კუთხიდგან; სხვათა შორის ინგლისის დედოფლის და სამეფო გვარეულობის ყველა წევრისაგან; საფრანგეთის და შეერთებულის შტატების პრეზიდენტისაგან და მრავალი სხვ.

## სასამართლოს მატიანე

მასწავლებლის აზნ. დიმიტრი დუმბაძის საქმე

(შემდეგი *)

გომელაური (პოლიციის ბოქაული). 15 წუთის შემდეგ მივედი იმ ადგილას, სადაც დუმბაძემ რევოლვერი ესროლა შმაკოვისას. როდესაც დუმბაძესთან შევედი, ის დიდად დაფიქრებული ტახტზედ იჯდა. ლაპარაკი დავუწყე, მაგრამ სწორე პასუხი იმისაგან ვერაფერი მივიღე. მაშინვე რევოლვერი გავსინჯე და შიგ არც ერთი ტყვია არ აღმოჩნდა. მასწავლებელ ქალის ოთახს დარაჯები დავუყენეთ. მეორე დღეს, როდესაც მე და გამომძიებელმა ეს ოთახი გავჩხრიკეთ, ბარათი ვიპოვნეთ, რომელშიაც დუმბაძე სწერდა, რომ თავს ვიკლავ და ჩემს წიგნთ-საცავს შემოქმედის სკოლას ვუტოვებო. დუმბაძემ გვითხრა, რომ მე მარტო ჩემის თავის მოკვლა მინდოდაო, მაგრამ შმაკოვის ქალმა გამაჯავრა, ხელი მკრა და შემდეგ არ მახსოვს, რა ჩავიდინეო. შინ რომ მოვედი, რევოლვერი გულზედ მივიდე, მინდოდა გამესროლა, მაგრამ არ გავარდა, ვნახე და შიგ ტყვია აღარა ყოფილიყოო.

ზანდუკელი (ყვარელის მამასახლისი). რევოლვერის სროლის შემდეგ დუმბაძე ძალიან აღელვებული იყო, სახე მეტად უცნაური ჰქონდა და რომ ვკითხავდით რასმე, პასუხს არ გვაძლევდა. ამ დღეს საუკეთესო ტანისამოსი ეცვა. დუმბაძესაგან შმაკოვის ქალზედ ცუდი არაოდეს არაფერი გამიგონია.

ჩერკასოვი (საცხენისის სკოლის ზედამხედველი). დუმბაძესათვის სულ ერთი იყო, ვინც უნდა დაენიშნათ მასწავლებლად ყვარელში. იმისაგან ცუდი შმაკოვის ქალზედ არ გამიგონია. მე დუმბაძე მეორე დღესა ვნახე. როდესაც ვკითხე, ასეთი საქმე რად ჩაიდინე-მეთქი, მომიგო: „მე აზრად სხვა მქონდაო". ამასთან მკითხა, შმაკოვის ქალი როგორ არისო. საზოგადოდ დუმბაძისაგან რუსის ქალებზედ ცუდი არაფერი გამიგონია. მასწავლებელმა თედოსიევმა გადმომცა მხოლოდ, რომ დუმბაძე ცუდის აზრისაა რუსის ქალებზედაო, მაგრამ შეიძლება ეს ჭორი იყოს, რადგანაც თედოსიევი ცუდს განწყობილებაში იყო დუმბაძესთან.

ზოგიერთ მოწმეს ბრალდებულმა დუმბაძემ ჰკითხა: „რა მიზეზი იყო, რომ ყვარელის სკოლას, რომელიც საერო სასწავლებლების ინსპექტორს პავლოვსა ჰქონდა ჩაბარებული, განაგებდა მეორე ინსპექტორი ბოგდანოვი?"

თავმჯდომარე. ეგ საქმეს არ შეეხება.

მკურ. პავლოვსკი. ბ-ნო თავმჯდომარევ, გთხოვთ საქმის კარგად გამოსარკვევად და ყოველისავე წვრილმანის გასაგებად, ნება მიეცეს ბრალდებულს, რაცა ჰსურს, ისა ჰკითხოს მოწმეებს.

თავმჯდომარე. კარგი. განაგრძეთ, ბრალდებულო.

ბრალდ. დუმბაძე. ბოგდანოვს ჯაშუშები და მაბეზღრები უყვარდა. იმას ყველგან თავისი კაცები ჰყავდა...

მოწმე გროზდოვი. (ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებლების დირექტორი). დუმბაძე წინააღმდეგი იყო ყვარელის სკოლის გადაკეთებისა და სახელოსნო განყოფილების გაუქმებისა. ამისდა მიუხედავად, ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ გადავაკეთოთ სასწავლებელი და დედათა განყოფილებისათვის მასწავლებელი-ქალი დავნიშნოთ. ამასთან მასწავლებლად რუსის ქალი შმაკოვისა დავასახელეთ. დუმბაძემ გამომიცხადა, რომ შმაკოვის ქალმა ქართული არ იცის, ამიტომ ის მასწავლებლად არ გამოდგება ისეთს სოფელში, სადაც მოსწავლეებს რუსულისა არაფერი გაეგებათო. მე არ მეგონა, თუ შმაკოვის ქალმა ქართული არ იცოდა, რადგანაც ბოგდანოვმა დაგვარწმუნა, რომ შმაკოვისამ კარგად იცის ქართულიო. რუსის ქალის მასწავლებლად დანიშვნის წინააღმდეგი იყო აგრეთვე ადგილობრივი მებატონეც, დაღესტნის გუბერნატორი თავ. ჭავჭავაძე. სხვათა შორის იმან ისიც მითხრა, რომ „თქვენ ძალად გარუსებასა სცდილობთო". ბრალდებული დუმბაძე საუკეთესო პედაგოგი იყო, სასწავლებლის საქმე ძალიან კარგად მიჰყავდა, იმის მოსწავლეების ნაწერი იმდენად კარგი იყო, რომ ამ მოსწავლეების რვეულები ნიჟეგოროდის გამოფენაზედ გავგზავნეთ. დუმბაძის უფროსის პავლოვისაგან გამიგონია, რომ დუმბაძე კარგი კაცი და კარგი მასწავლებელიაო. როდესაც დუმბაძეს დავუახლოვდი და გავიცანი, მეც პავლოვის აზრისა გავხდი. მაგრამ ამასთან დუმბაძე მეტად ფიცხი კაცი იყო. უბრალო რამეზედ ცეცხლივით აენთებოდა ხოლმე. შმაკოვის ქალის საჩივრისა გამო მე განკარგულება მოვახდინე, რომ დუმბაძე სხვა ადგილზედ გადაეყვანათ. ეს ადგილი ხარისხით ნაკლებია, თუმცა ჯამაგირი ორივე სასწავლებელში ერთია. ამიტომ საკვირველი არაფერია, დუმბაძეს ეს გადაყვანა რომ სწყენოდა.

ბრალმდებელი. მაშ თქვენ ამოწმებთ, რომ დუმბაძეს სკოლის საქმე კარგად მიჰყავდა?

გროზდოვი. დიაღ, ვამოწმებ, იმის მოწაფეების ნაწერებმა გამოფენაზედ მრავალის ყურადღება მიიქცია.

ბრალმდებელი. მაშასადამე, ეს ნაწერები საუკეთესო ყოფილა?

გროზდოვი. საუკეთესო ჩვენში ძვირად არის რამე, მაგრამ შედარებით-კი კარგი იყო. ბრალდებულს დუმბაძეს უნდოდა, რომ მასწავლებლად ქართველი ქალი დაგვენიშნა. ამ საქმისათვის მან, როგორც ვთქვი, დაღესტნის გუბერნატორსაც-კი მიჰმართა. გარდა ამისა, დუმბაძე სოფლის საზოგადოების სახელით საჩივრებს, თხოვნებს ჰგზავნიდა, მაგრამ ამ თხოვნასა და საჩივარს სასწავლებლის კეთილდღეობა და სოფლის სიკეთე ჰქონდა აზრად, ასე რომ ცუდს ან წინააღმდეგს ამ საქმეში არაფერს ვხედავდი.

ბრალდებ. დუმბაძე (გროზდოვს). გთხოვთ მომიგოთ, ბოგდანოვი მდევნიდა თუ არა? მე გთხოვეთ თუ არა, გადამიყვანეთ-მეთქი? პირდაპირი ჩემი ინსპექტორი პავლოვი იყო, საქმეებს-კი ბოგდანოვი განაგებდა, რა მიზეზით? გთხოვთ მოსამართლეებს ყველაფერი განუმარტოთ და აუხსნათ. გარდა ამისა, იყავით როდისმე თქვენ ჩემს სასწავლებელში, თუ არა?

გროზდოვი. თქვენ ემდურებოდით ბოგდანოვს და გადაყვანაც-კი ითხოვეთ. ისიც მართალია, რომ იმ ნაწილის ინსპექტორად, სადაც თქვენ მასწავლებლობდით, პავლოვი იყო, ხოლო საქმეს განაგებდა ბოგდანოვი, რაიცა აიხსნება იმით, რომ სკოლის გადაკეთების საქმე ბოგდანოვს მიენდო. მე თქვენ სასწავლებელში არა ვყოფილვარ, მაგრამ თქვენს შესახებ ბევრი რამ გამიგონია პავლოვისაგან.

ბრალდ. დუმბაძე. რად მიანდეს ბოგდანოვს სკოლის გადაკეთების საქმე?

გროზდოვი. მაგის შესახებ ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი.

ბრალდ. დუმბაძე. თქვენთან ცუდი ამბები მოჰქონდათ თუ არა ჩემს შესახებ?

გროზდოვი. მართალია, მოჰქონდათ.

ბრალდ. დუმბაძე. გთხოვთ სიმართლე აღიაროთ, ბ-ნო დირექტორო, ჩვენ ერთსა და იმავე დროს ორი ინსპექტორი გვყავდა, მოახსენეთ მოსამართლეებს, რა აზრისა იყვნენ ეს ინსპექტორები ჩემს შესახებ.

გროზდოვი. პავლოვი ძალიან კარგის აზრისა იყო: ის ამბობდა, რომ თქვენ მეტად სასარგებლო მასწავლებელი და კარგი კაცი ხართ, ხოლო ბოგდანოვი ყოველთვის ცუდს ამბობდა თქვენზედ.

ბრალდ. დუმბაძე. მოახსენეთ მოსამართლეებს, როგორ კაცად მცნობდა ხალხი, მეზობლები, მასწავლებლები და საზოგადოდ ყველა, ბ-ნ ბოგდანოვის გარდა?

გროზდოვი. თქვენი ყველა კმაყოფილი იყო, ყველა კარგს კაცს გეძახდათ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან მადლობაც-კი მიიღეთ.

(დასასრული იქნება)

## დამაკვირდი

კეთილის მყოფელისა ჩვენისათვის დავდვათ სული ჩვენი.

ვახტანგ გორგასლ.

* * *

ღმერთი მხოლოდ დაუსაბამო მაღალ არს და მდაბალთა ხედავს და მაღალნი იგი შორით იცნის.

წმ. ნინო

* * *

მოიძულე ქრთამი, რომელი დააბნელებს თვალთა სულისათა.

ილარიონ ქართველი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკის სხვა და სხვა გაზეთებში დაბეჭდილია: „ვინც უფრო უკეთესს საშუალებას გამოიგონებს ესპანიელების ამოსაწყვეტად, ჯილდოს მივცემთო. ბევრმა გამოაცხადა სხვა და სხვა საშუალება.

ზოგმა ისეთი საშუალება წარუდგინა გაზეთებს, რომ ადამიანს მხოლოდ სიცილს მოჰგვრის. მაგრამ ამ პროექტებ შორის საყურადღებოა პროექტი ნიკოლოოზ ტესლასი. ტესლა ამერიკაში ედისონზე ნაკლებად არ არის გამოჩენილი და რაკი გამოაცხადა თავისი პროექტი, ეჭვი არ არის, რომ მისი შესრულებაც შესაძლებელი უნდა იყოს. ამ მეცნიერს მოუგონია ისეთი მანქანა, რომლის შემწეობით შეიძლება ერთმა კაცმა დიდს მანძილზედ გასტყორცნოს ელექტრონის სხივი., ეს სხივი, რომელიც არაფრით განირჩევა, თურმე, ელვისაგან, მეხივით თავს დაატყდება მტერს და ერთს წუთში გაანადგურებს მთელს სამხედრო გემს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 მაისი

**ვაშინგტონი.** წარმომადგენელთა პალატაში პირომ შეიტანა კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ აგებულ იქმნას 5 პირველ-ხარისხის კრეისერი, 10 ნაღმიანი გემი, 15 კონტრ-მინონოსკა და 15 ფოლადის კანონიორკა. თუ მასალა ამერიკისა იქმნება, ხარჯი 39,250,000 დოლარს არ აღემატება.

**მადრიდი.** გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულ იქმნა ალმოდოვარ რიო.

14 მაისი

**შანჰაი.** იუწყებიან, რომ ვენჯოუში უწესოება მოხდა, რომლის დროსაც მეამბოხედ მრავალი შენობა დააქციესო. უცხო ქვეყნელებს ხელი არ ახლეს.

**ბერლინი.** საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე მეუღლითურთ აქ ნაშუადღევს მოვიდა. სადგურზედ დაჰხვდნენ იმპერატორი დიდის სამხედრო ამალით და პრინცები.

**პეტერბურგი.** 13 მაისს ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული პეტერბურგში მოვიდნენ ცარსკოე სელოდგან. რკინის გზის სადგურიდგან ნავთ-სადგურში წავიდნენ და იქ საიმპერატორო გემს „ალექსანდრიაზედ" გადაბრძანდნენ.

**სან-ფრანცისკო.** დღეს ჯარი დასხეს გემებზედ „სიტი-ოფ-სიდნეი"-სა და „ავსტრალია"-ზედ, რომელნიც მანილაში წავლენ.

**კი-ვესტი.** ის ამბავი, რომ ამერიკის გემი დაიღუპა, სიმართლეს არის მოკლებული.

**მადრიდი.** ოფიციალურად იუწყებიან მანილიდგან, რომ მეამბოხეთა წინამძღოლების უმრავლესობა გენერალ-გუბერნატორთან მივიდა და გამოუცხადა, რომ ისპანიისთვის ვიბრძოლებთო.

**კი-ვესტი.** როგორც მოსულის ცნობებიდგანა სჩანს, უკვე შეიტყეს ესპანიის ფლოტი სადა სდგას, მაგრამ ბრძოლა ჯერ არ მომხდარა.

**პარიჟი.** კაბინეტმა გამოუცხადა სამინისტროს, რომ თანამდებობას თავს გავანებებთ, მხოლოდ ნიგერის შესახებ კონვენციის ხელმოწერის შემდეგ, რომელიც ამ ახლო მომავალში მოხდებაო.

**იოკაჰამა.** იაპონელებმა ორშაბათს ვეი-ხაი-ვეი ჩინეთის წარმომადგენელებს გადასცეს.

15 მაისი

**პეტერბურგი.** გვირგვინის კურთხევის დიდად სადღესასწაულო დღეს ცარსკოესელსკის დიდის სასახლის ტაძარში კარის სამღდელოებამ წირვა გარდაიხადა, რომელსაც დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა და საიმპერატორო გვარეულობის ყველა წევრნი.

**ვაშინგტონი.** მაკ კინლეიმ გამოაცხადა მოწოდება და 75,000 კაცს კიდევ იწვევს, რომ თავის ნებით ჯარში შევიდნენ, ჯარი 280.000 სულამდე იქმნება შევსებული:

**მადრიდი.** დეპეშა მანილიდგან: „ესპანიის მეციხოვანე ჯარმა, სურსათის უქონლობისა გამო, დასტოვა 14 მაისს კორრეგიდორის კუნძული. ამბოხება პროვინციაში თან და თან ძლიერდება. დევემ ბრძანება გასცა, რომ კვლავ ეცადენით, რომ იარაღი გადმოიტანოთ გემებიდგანაო. ამერიკის სამხედრო ხომალდი Baltimore იქამდის დაზიანებულია, რომ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება. ამერიკელებმა სცადეს იარაღისა და სამხედრო სამზადისის გადატანა ნაპირზედ ინაკაიანასთან მაგრამ ესპანელებმა უკან გააბრუნეს და ნაპირზედ გადმოტანილი იარაღი და სამზადისი წაართვეს.

**მადრიდი.** ჰავანიდგან მოსული დეპეშა: „ამერიკის გემები ტაინტანამოს და სხვა ქალაქებთან იყრიან თავს, სანტ-იაგოს ახლოს. ეს იმას ამტკიცებს, რომ ამერიკელებს განზრახვა აქვთ სერვერაზედ იერიში მიიტანონ.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი 4-დგან $3^1/_2$%-მდე.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამ წლის „ივერიის" მე-80 №-ში მოთავსებული იყო ფრიად საყურადღებო წერილი ს. ბახვიდგან ამა სოფლის ორ-კლასიან სასწავლებლის ოც-და-ხუთის წლის დაარსების იუბილეის შესახებ. ბ-ნი ჰამუთ-ბეი სამართლიანად გვირჩევს იუბილეის მაგივრად ჩვენი აღმზრდელის სასწავლებლის სასარგებლოდ გამოვიღოთ ჩვენი წვლილი. ჭეშმარიტად, ეს ბევრად სასარგებლო იქნებოდა სასწავლებლისათვის. მეორეს მხრივ, სასწავლებელს ნივთიერად დახმარება აღმოეჩინებოდა, რასაც ძალიან ჰსაჭიროებს. ბახვის სასწავლებლის შვილები ამით დაუმტკიცებენ სასწავლებელს და მისს დამაარსებელს თავიანთ ულრმესს პატივისცემას.

იმედია, პატივცემული ბახვის სასწავლებლის ზედამხედველი გაზეთის საშუალებით თავის დროზედ აცნობებს ყველას სასწავლებლის კურთხევისათვის დანიშნულ დროს და მოიწოდებს ყველა მის მიერ აღზრდილ შვილებს სასწავლებლის და დამაარსებელის პატივ-საცემად. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ყველა ღირსეულად მიეგებება ამ კეთილს საქმეს.

ბახველი გლეხი

*) იხილე „ივერია", № 100.

Позволено цензурою, Тифлисъ 15-го Мая 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.